2013 წელი, 26 სექტემბერი – 1 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№27 (621) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი:

„კარგია 28401 სტუდენტი რომ გვყავს საქართველოში, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად გვაკმაყოფილებს მათი შედეგები და მიღწევები. ეს ნამდვილად არ არის ის, რის მიღწევასაც ვცდილობთ.“

გვერდი 2



„პირველადვე ესრე ვთქვათ მოსამართლე უნდა იყოს დიდად გამსინჯავი, მიმხვდომი, გამომძიებელი, გონება აუჩქარებული, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურისმგდებელი, გამსინჯავი, მომჩივრის მომხმარე, მომცდელი, სხვისი მკითხველი და ღვთისმოშიში.“

გატონიშვილისეული სამართლის უცნობი ხელნაწერიდან

გვერდი 4

სადისკუსიო კლუბი

ჩვენი გაზეთი იწყებს ახალ რუბრიკას „სადისკუსიო კლუბი“, რომლის თემაზიკა პერიოდულად შეიცვლება. რუბრიკას ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის **აზა ქადარიას** წერილით ვხსნით, რომელიც სკოლებში ქართული ენის გრამატიკის სწავლებას ეხება. ვფიქრობთ, თემა ღირს განსახილველად.

ჩაერთეთ „სადისკუსიო კლუბში“. შეთავაზეთ პრობლემატური თემები და საკუთარი მოსაზრებები.

გვერდი 3

გამოსაშვები გამოცდები

გთავაზობთ ტესტური დავალებების ნიმუშებს გეოგრაფია, ფიზიკა

გვერდი 6–8

2013 წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგი:

12 ოქტომბერი – გეოგრაფია;
13 ოქტომბერი – ფიზიკა;
14 ოქტომბერი – ბიოლოგია;
15 ოქტომბერი – ქიმია.

12 ოქტომბრიდან, საქართველოს მასშტაბით, გამოსაშვები გამოცდები დაიწყება. 09:00 საათზე, საქართველოს ყველა რაიონის 1600-ზე მეტ სკოლაში, მოსწავლეები გეოგრაფიის დავალებებზე მუშაობას დაიწყებენ. საგამოცდო პროცესში 2000-ზე მეტი მეთვალყურეა ჩართული.

2013 წლიდან გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება: ოქტომბრის პირველ ნახევარში მეთორმეტეკლასელები გამოცდებს 4 საგანში ჩააბარებენ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია). იმ მოსწავლეებს, რომლებიც ოქტომბერში ვერ გადალახავენ ზღვარს რომელიმე გამოცდაში (ან ვერ გამოცხადდებიან გამოცდაზე), შესაძლებლობა ეძნებათ შესაბამისი საგანი წლის ბოლოს, ჩააბარონ დანარჩენ 4 გამოცდასთან (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა, ისტორია) ერთად.

ცვლილების თანახმად, 2013-2014 სასწავლო წლიდან კი, გამოსაშვები გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებში გაიმართება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს ჩააბარებენ, რომლის სწავლაც დაასრულეს. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ახალი სქემა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება.

გამოცდების დაწყებამდე ყველა მოსწავლე საკუთარ სკოლაში მიიღებს საგამოცდო ბარათს, რომელზეც მითითებულია 4-ვე გამოცდაზე გამოცხადების თარიღი და დრო.

მოსწავლე მითითებულ დღეს და საათზე უნდა გამოცხადდეს შესაბამის სკოლაში და გაიაროს რეგისტრაცია. მან თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი, პირადობის მოწმობა და კალამი. დასაშვებია მხოლოდ პირადი ჰიგიენის ნივთებისა და პლასტმასის ბოთლით წყლის შეტანა.

ინტერვიუ

თუ მზად ვართ ვაღიაროთ პრობლემები, ყველაფერი გამოსწორდება

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი

– როგორ ჩაიარა ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა და გაამართლა თუ არა რეგისტრაციის ახალმა მოდელმა?

– პროცედურულად ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა, მინიმალური ხარვეზიც არ დაფიქსირებულა. ბუნებრივია ვღელავდით, რადგან წელს ძალიან ბევრი აპლიკანტი გვყავდა – 42 000-მდე აბიტურიენტი, 10 000-მდე მაგისტრობის მსურველი, ამდენივე სტუდენტი, რომლებიც საგრანტო კონკურსში მონაწილეობდნენ და 21 000-მდე პედაგოგი, საერთო ჯამში – 100 ათასამდე აპლიკანტი. რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ლოჯისტიკის თვალსაზრისით.

სიახლემ, რაც წელს აბიტურიენტებს შევთავაზეთ, ნამდვილად გაამართლა. შეგახსენებთ რა სიახლეზეა საუბარი – აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მას შემდეგაც გაეკეთებინათ საბოლოო არჩევანი, რაც გაიგებდნენ საკუთარ შედეგებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, 13 აგვისტოს ჩათვლით შეეძლოთ სურვილისამებრ შეეცვალათ უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონთავალი. ამასთანავე, რეგისტრაციისას შეუზღუდავი რაოდენობით შეეძლოთ მიეთითებინათ ფაკულტეტი და უმაღლესი სასწავლებელი. საბოლოო ჯამში, შედეგად მივიღეთ ის, რომ წელს, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით მეტი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი. თუ წინა წლებში სტუდენტების რაოდენობა 24 000-ს არ აჭარბებდა, წელს 28 401 ახალგაზრდა გახდა სტუდენტი და იმ აბიტურიენტთა რაოდენობაც, რომლებმაც მოახერხეს სავალდებულო გამოცდებში ზღვრის გადალახვა, მაგრამ ვერ ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში, წელს გაცილებით ნაკლებია – 700-მდე, როცა გასულ წლებში 4-5 ათასამდე იყო, რიგ შემთხვევებში, 6 ათასამდეც აღწევდა.

ასე რომ, პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა იმისათვის, რომ ეს სიახლე განგვეხორციელებინა. ძალიან მიხარია, რომ ამან კარგად იმუშავა და, ბუნებრივია, მომავალ წლებშიც, სანამ ამ ფორმით იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდები, ასეთივე შესაძლებლობას მივცემთ აბიტურიენტებს.

– რეგისტრაციის ახალი მოდელის დანერგვა მიზნად ისახავდა მეორადი ჩარიცხვების საჭიროების მოხსნას. მიუხედავად ამისა, აბიტურიენტები, რომლებმაც გადალახეს ზღვარი, მაგრამ ვერ ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ისარგებლებენ მეორადი ჩარიცხვების უფლებით...

– როგორც იცით, ეს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებაა, რასაც შესაბამისი ცვლილებები სჭირდება. რამდენადაც ვიცი, ამაზეც უკვე მიდის მუშაობა. თქვენ იცით, რომ ჩვენი ცენტრი ამის წინააღმდეგია, მაგრამ განათლების სამინისტრომ, უფრო სწორად მინისტრმა მიიღო ეს გადაწყვეტილება.

– წელს ბევრმა აბიტურიენტმა ვერ გადალახა ზღვარი...

– პროცენტულად თუ შევხედავთ იმ აბიტურიენტთა რაოდენობას, ვინც ზღვრის გადალახვა ვერ მოახერხა, დიდად არ განსხვავდება წინა წლებისგან. მიუხედავად იმისა, რომ 13 700 თავისთავად დიდი ციფრია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წელს გაცილებით მეტი აბიტურიენტი გვყავდა და ამიტომ პროცენტულად დიდი განსხვავება არ არის.

ხშირად გვეკითხებიან – ვართ თუ არა კმაყოფილი შედეგებით? (ეს მხოლოდ წლევანდელ წელს არ ეხება, წინა წლებშიც), რა თქმა უნდა, უკეთესის მოლოდინი გვქონდა, გვაქვს და გვექნება ყოველთვის. ბუნებრივია სურვილი, რომ აბიტურიენტებმა კარგი შედეგები აჩვენონ. კარგ შედეგში არ ვგულისხმობ იმას, რომ აბიტურიენტი ზღვრის გადალახვას ახერხებს და აუცილებლად ხდება სტუდენტი. ჩემი სურვილი იქნებოდა (და არა მარტო ჩემი, ყველასი, ვინც ჩვენს ორგანიზაციას წარმოადგენს), აბიტურიენტებს გამოცდებზე გაცილებით უკეთესი მიღწევები დაეფიქსირებინათ, მაგრამ ასეთია რეალობა. ბუნებრივია, გამოცდები თავის ფუნქციას ასრულებს – არსებული პოპულაციიდან საუკეთესოს ირჩევს, მაგრამ ის საუკეთესო რამდენად საუკეთესოა ნამდვილად, ეს, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

– წელს პირველად სახელმწიფომ 17 პროგრამაზე სწავლა სრულად დააფინანსა. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი უფასო ფაკულტეტიდან გადასვლას მოისურვებს?

– აბიტურიენტები, რომლებიც ამ პროგრამებზე აბარებენ, ჩვეულებრივად მონაწილეობენ საგრანტო კონკურსში. თუ მათ მოიპოვეს საგრანტო დაფინანსება, ნაწილობრივი ან სრული, და ჩაირიცხნენ იმ პროგრამაზე, რომელსაც სრულად აფინანსებს სამინისტრო (სტუდენტების რაოდენობა, ვინც ამ მიმართულებებზე ჩაირიცხა, დაახლოებით, 3500-ია), მათ მიერ მოპოვებული გრანტი ამ ფაკულტეტზე მიდის; თუ მათ სხვა მიმართულებაზე გადასვლა მოინდომეს, მათ საგრანტო კონკურსში მოპოვებული გრანტი გადაჰყვებათ. თუ აბიტურიენტი ჩაირიცხა ფაკულტეტზე, სადაც სახელმწიფო სრულად ფარავს სწავლების საფასურს, მაგრამ საგრანტო კონკურსში ვერ გაიმარჯვა და ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტი, გადასვლის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თავად მოუწევს სწავლის საფასურის დაფარვა.

– გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს აბიტურიენტების ერთმა ჯგუფმა ტესტები წინასწარ იცოდა...

– დარწმუნებული ვარ, ეს მიზანმიმართული მცდელობა იყო, აგორებულიყო ჭორი, რაც, ბუნებრივია, არანაირ სიმართლეს არ შეესაბამება. ყოველი გამოცდის შემდეგ, დასრულდება თუ არა საგამოცდო დღე, ჩვენს ვებგვერდზე ვაქვეყნებთ გამოყენებულ ტესტებს. ეს აღარ არის კონფიდენციალური ინფორმაცია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახვა.

ის ნიმუშები, რაც ერთ-ერთმა სააგენტომ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა, ჯერ ერთი, გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც ცენტრის ვებგვერდზე დავდეთ; მეორე, ვისაც ჰქონდა ინტერესი ენახა გამოქვეყნებული ტესტები, დარწმუნდებოდა, რომ არ ჰგავდა საგამოცდო ტესტებს – იყო ხელნაწერი, რიგ შემთხვევაში, პირობა არ იყო ბოლომდე დამახსოვრებული ან პირობა იყო და პასუხები არ იყო ბოლომდე მითითებული და ა.შ.

დარწმუნებული ვარ, თუ ეს ოდნავ მაინც შეეფერება სიმართლეს (თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს მიზანმიმართული მცდელობა იყო სკანდალის აგორების), შესაძლებელია მოსწავლემ, რომელიც სააპრობაციო გამოცდებში მონაწილეობდა (აპრობაციაზე გატანილი დავალებები, ბუნებრივია, გამოცდაზე არ ხვდება), სააპრობაციოდ გამოტანილი ტესტური დავალებები დაიმახსოვრა (რამდენიმე ბოლომდე ვერც დაიმახსოვრა).

ეს იყო უსუსური მცდელობა. ვიმეორებ, რომ ტესტები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ჩვენს ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნებული იყო ყველა ტესტური დავალება.

– როგორ შეაფასებდით პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებს, რაც ნამდვილად არასახარბიელო იყო...

– მხოლოდ და მხოლოდ წლევანდელ შედეგებს ნუ შევხედავთ. უამრავი აზრი გამოითქვა – შემაშფოთებელი, სავალალო და ა.შ. მე ამას ასე არ ვუყურებ ერთი უბრალო მიზეზის გამო – ვინც ამას ამბობს, წინა წლების შედეგებიც გაიხსენოს. განსხვავება, წინა წლებთან შედარებით, ის იყო, რომ მაშინ უბრალოდ აკრძალული იყო იმ პრობლემებზე საუბარი, რაც ამ მიმართულებით გვქონდა. შედეგები, რა თქმა უნდა, წინა წლებშიც სრულიად არასახარბიელო იყო, დიდი განსხვავება, პირდაპირ გეტყვით, ნამდვილად არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ოდნავ უარესი შედეგია, მაგრამ ანალოგიური ვითარება გვქონდა გასულ წლებში, მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან დაკავშირებით.

არა ერთხელ მითქვამს და კიდევ მინდა გავიმეორო, რომ არასწორია და უფრო მეტიც, დანაშაულია პირდაპირ მასწავლებლისკენ გაიშვირო ხელი. წინა წლებში სათანადო ზომები რომ მიღებულიყო, სერიოზული მხარდაჭერა რომ აღმოეჩინათ პედაგოგებისთვის, ბუნებრივია, წელს ასეთი შედეგი არ გვექნებოდა. ეს არის მიზეზი იმ რეალობისა, რაც დღეს გვაქვს და რეალობა, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. გასული წლები რომ ეფექტურად ყოფილიყო გამოყენებული და განათლების სამინისტროს თვალი რომ გაეხილა, არსებული რეალობისთვის პირდაპირ შეეხედა, ადეკვატური ნაბიჯები გადაედგა და არ ესაუბრა მხოლოდ და მხოლოდ „წარმატებებზე“, ბუნებრივია, პედაგოგებთან ერთად გამოვასწორებდით ამ მდგომარეობას.

მოგეხსენებათ, არსებული კანონმდებლობით, 2014 წელი ბოლო წელია, როდესაც პედაგოგებმა ნებაყოფლობით უნდა გაიარონ სერტიფიცირების პროცესი და 2015 წლიდან, თითქოსდა, ყველა პედაგოგი სერტიფიცირებული უნდა იყოს. ადრეც ბევრს ვსაუბრობდით და ახლაც გავიმეორებ, რომ სერტიფიცირების პროცესს ძალიან სერიოზული დახვეწა სჭირდება და ამ მიმართულებით ძალიან სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. საჭიროა პედაგოგის ეფექტური მხარდაჭერა და არა მხოლოდ ორ-სამდღიანი ტრენინგები.

ბუნებრივია, თვითონ სერტიფიცირების პროცესი უამრავი ხარვეზითაა სავსე. როცა ამ პროცესისთვის ვემზადებოდით, ამგვარი შეთანხმება იყო – მომზადდებოდა საგამოცდო სისტემა (რაზეც ჩვენმა ორგანიზაციამ დაიწყო მუშაობა) და, პარალელურ რეჟიმში, ამუშავდებოდა დამატებითი, და მე თუ მკითხავთ, გაცილებით მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდებოდა პედაგოგი. დღეს რა ვითარება გვაქვს? სერტიფიკატის მილება დამოკიდებულია მხოლოდ ამ ორი გამოცდის შედეგზე და შეფასების მიღმა რჩება უმნიშვნელოვანესი კომპონენტი – როგორია პედაგოგი კლასში, მარტივად რომ ვთქვათ, მისი პრაქტიკული საქმიანობა – როგორ იყენებს კლასში მუშაობისას ამ ყველაფერს, როგორ ახერხებს ეფექტურად საკუთარი ცოდნის გადაცემას, მოსწავლეთა მოტივირებას და მათთვის მაქსიმალურად ხელშეწყობას იმისთვის, რომ შესაბამისი ცოდნა მიიღონ. აი, ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი შეფასების მიღმა რჩება. უკვე მერამდენე წელია, ვატარებთ სასერტიფიკაციო გამოცდებს და, სამწუხაროდ, ეს კომპონენტი ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული და პედაგოგის ბედი მხოლოდ ორი გამოცდის შედეგზეა დამოკიდებული.

მოხარული ვარ, რომ განათლების სამინისტრომ ამ მიმართულებით ძალიან აქტიურად დაიწყო ფიქრი. მეტსაც გეტყვით, ნოემბრის თვეში, როდესაც ახალი მინისტრი – გიორგი მარგველაშვილი დაინიშნა, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელზეც დავიწყეთ საუბარი და მისგან სრული მხარდაჭერა გვქონდა, სწორედ სერტიფიცირების დახვეწა იყო. ჩვენმა ორგანიზაციამ მოიპოვა მსოფლიო ბანკის გრანტი, რომელიც სერტიფიცირების პროცესის დახვეწასა და შესაფერისი მექანიზმების შემუშავებას ემსახურება, სწორედ პრაქტიკულ ნაწილზე და არა მხოლოდ თეორიულზე. აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დავიწყეთ. გრანტი 2-წლიანია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენს პედაგოგებს რაც შეიძლება შემჭიდროვებულ ვადებში შევთავაზოთ სიახლე. მაქსიმალურად ვეცდებით ეს პროცესი იდეალური თუ არა, მაქსიმალურად დახვეწილი იყოს.

– როგორი სურათი იყო საგნობრივად? ყველაზე ცუდი მაჩვენებელი რომელ საგანში გამოვლინდა?

– ყველაზე მეტად გვიჭირს ფიზიკაში, მხოლოდ 4%-მა მოახერხა ბარიერის გადალახვა, გვიჭირს ასევე ქიმიაში – 9%-მა მოახერხა გადალახვა, მათემატიკაში – დაახლოებით 14%-მა; შედარებით კარგი მდგომარეობაა ისტორიასა და გეოგრაფიაში; უკეთესი – ქართულ ენასა და ლიტერატურაში. სურათი ასეთია – საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკაში გვიჭირს.

უამრავი სამუშაოა, ამავე დროს, უამრავი პრობლემაა. მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ უკვე შეიძლება პრობლემებზე ღიად საუბარი. თუ პრობლემის იდენტიფიცირება არ ხდება, ბუნებრივია, ვერაფრით ვერ უშველი. სისტემისთვის ყველაზე მავნეა, როცა პიარისთვის ან გარკვეული მიზნებისთვის მაქსიმალურად ცდილობ შეფუთო არსებული პრობლემა. ის არსად არ წავა, უფრო გაღრმავდება.

როცა განწყობა გაქვს ისეთი (განათლების სამინისტროს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, რადგან პოლიტიკას სამინისტრო წარმართავს), რომ არ გეშინია რეალობისთვის თვალის გასწორების, პრობლემის დაფიქსირების, მასზე ხმამაღლა საუბრის, ეს უკვე აპრიორი ნიშნავს, რომ შენ უკვე სერიოზულად ფიქრობ მის გამოსწორებაზე. ამით თუ არ დაიწყე, რა თქმა უნდა, სისტემას არაფერი ეშველება. განათლების სისტემაში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. განსაკუთრებით და მართლაც ხაზგასმით ვამბობ ამას – პირველ რიგში, საშუალო განათლების საფეხურს უნდა ეშველოს რამე. არც უმაღლეს განათლებაზე შეგვიძლია საუბარი და არც მეცნიერების განვითარებაზე, თუ საშუალო საფეხურის პრობლემები არ მოგვარდა მნიშვნელოვანი მიმართულებებით – თვითონ ორგანიზება საშუალო განათლების საფეხურის; რა თქმა უნდა, სასწავლო გეგმები და პროგრამები, სახელმძღვანელოები; უმნიშვნელოვანესი კომპონენტი – პედაგოგების მხარდაჭერა. ბოლო წლების განმავლობაში, ერთადერთი, რაც კეთდებოდა, განათლების სამინისტრო პირიქით ხელს უშლიდა პედაგოგებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ კვალიფიკაციის ამაღლებაზე ეზრუნათ, რადგან მათ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ. კარგად ვიცით, რა ვითარებაში ვიყავით. რა თქმა უნდა, პედაგოგი თვითონაც უნდა ზრუნავდეს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მაგრამ განათლების სამინისტრო იმისთვის არსებობს, რომ ამისთვის მაქსიმალური პირობები შექმნას. პირველ რიგში, განათლების სამინისტრო უნდა იყოს დაინტერესებული პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებით. წლების განმავლობაში პირიქით ხდებოდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში. ამიტომაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ უმნიშვნელოვანესია ის ნაბიჯი, რომელიც ახლა გადაიდგა განათლების სამინისტროს მხრიდან – იდენტიფიცირება არსებული პრობლემებისა და დაუფარავად საუბარი ამ პრობლემებზე, არა შეფუთვა, არამედ დაფიქსირება და მის გამოსწორებაზე სერიოზული ფიქრი. აქედან გამომდინარე, არა იმიტომ, რომ ოპტიმისტი ვარ, მიუხედავად დიდი პრობლემებისა, ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ მზად ვართ ვაღიაროთ პრობლემები, ყველაფერი გამოსწორდება.

გაჩნდა შეკითხვა, რატომ აჩვენეს პედაგოგებმა ცუდი შედეგები, როცა აბიტურიენტებს ასეთი კარგი შედეგები აქვთ, ისინი ხომ ამ პედაგოგების მომზადებულები არიან? ამ ორი რამის შედარება, პირდაპირ გეტყვით, სასაცილოა, იმიტომ რომ, პედაგოგი სასერტიფიკაციო გამოცდას აბარებს და გადასალახავი ბარიერი ძალიან სერიოზულია – 60%-ზე მეტი უნდა დააგროვოს, გამოცდა ჩაბარებულად რომ ჩაითვალოს. აბიტურიენტები კონკურსში მონაწილეობენ და ეროვნული გამოცდის მიზანია არსებული პოპულაციიდან საუკეთესოს შერჩევა. ხშირ შემთხვევაში, ეს საუკეთესო სულაც არ ნიშნავს დამაკმაყოფილებელს. იქ მინიმალურზე მინიმალური ბარიერია და ამ ბარიერს თუ გადალახავს აბიტურიენტი და სტუდენტი გახდება, ეს წარმატება სრულიადაც არ არის. პირდაპირ ვთქვათ. კარგია, რომ სტუდენტია, მაგრამ სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი ჩვენთვის, ყველასთვის. თუ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს გამოკითხავთ, სტუდენტების განათლების დონით უკმაყოფილოები არიან. შესაძლებელია საუკეთესო სტუდენტი აღმოჩნდეს ის, ვინც, მაგალითად, 100-ქულიან ტესტში 30 ქულა მიიღო. მეორე მხრივ, საუკეთესოა 30-ქულიანი სტუდენტი?! ასე რომ, ამ ორი რაღაცის ერთმანეთთან შედარება ნამდვილად სასაცილოა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სტუდენტების მომზადების დონეზეც აისახება და ყველაფერი სკოლის პრობლემებიდან მოდის. ერთი მხრივ, უდავოდ, კარგია 28401 სტუდენტი რომ გვყავს საქართველოში, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად გვაკმაყოფილებს მათი შედეგები და მიღწევები. ეს ნამდვილად არ არის ის, რის მიღწევასაც ვცდილობთ. ყველაფერი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული, საბოლოო ჯამში, დარწმუნებული ვარ, ყველა ამ პრობლემას ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივყავართ – ძალიან სერიოზულად უნდა ეშველოს საშუალო განათლების საფეხურს.

საუბარი იმაზე, რომ პედაგოგებმა ასეთი ცუდი შედეგები იმიტომ აჩვენეს, რომ მთავრობას და განათლების სამინისტროს ამ ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია პედაგოგთა დასახმარებლად, დემაგოგიაა. გაცილებით მეტი ინტენსივობით ტარდებოდა ტრენინგები, რომლებიც გასულ წლებშიც ტარდებოდა. მთავარი ის არის, რომ ეს ტრენინგი მნიშვნელოვანს არაფერს აძლევს პედაგოგს, მას სხვაგვარი დახმარება სჭირდება. ტრენინგი თავისთავად კარგია, მაგრამ წლების განმავლობაში ტრენინგები ორიენტირებული იყო პედაგოგის მომზადებაზე კონკრეტული გამოცდისთვის, მაშინ როცა სამინისტროს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე უნდა ეზრუნა და არა კონკრეტული ტესტისთვის მომზადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით მეტი ინტენსივობით ჩატარდა ტრენინგები, შედეგი ცოტა უარესიც კი მივიღეთ, ვიდრე წინა წლებში. ალბათ დამეთანხმებით, რომ ტრენინგები სულ რომ არ ჩატარებულიყო, 7-8 თვეში მასწავლებელს ფიზიკა ან ქიმია არ დაავიწყდებოდა, ხომ?! ეს იმის შედეგია, რომ წინა წლებში პირში წყალი უნდა ჩაგვეგუბებინა და არ გველაპარაკა პრობლემებზე, რომლებიც უამრავი გვქონდა. წინა ხელისუფლებას მდგომარეობის გამოსწორებაზე 3-4 წლის წინ რომ დაეწყო ზრუნვა, დღეს უკეთესი სურათი გვექნებოდა.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

Peace Corps
მშვიდობის კორპუსი

Since 1961.

ა.შ.შ.-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები ცამეტი წელია წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან იმუშავებენ 2014-2016 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი** (გარდა გორის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებისა), **სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო** (აბაშის, სენაკის, მარტვილის და ხობის მუნიციპალიტეტები), **რაჭა-ლეჩხუმი**.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რეგიონში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს **26 საათს** და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2014-2016 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში მისამართზე – ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე – education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **21 ოქტომბერი, 2013 წელი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელებს: ასმათ სიხარულიძეს (აღმოსავლეთი) ან თეო ნეფარიძეს (დასავლეთი) ტელეფონი: (0 32) 224 12 24; ფაქსი: (032) 239 91 06

ინფორმაცია

პატარა პაციენტები შესაბამის გარემოში ისწავლიან

„ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება განხორციელდება. დღეს, იაშვილის კლინიკაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა დავით სერგეენკომ ის სასწავლო გარემო დაათვალიერეს, სადაც ლეიკემიით დაავადებულ ჰოსპიტალიზებულ ბავშვებს, სწავლის საშუალება ექნებათ. სასწავლო ოთახს და მის ფუნქციებს გაეცნენ საქართველოში მყოფი პიცბურგის(აშშ) საუნივერსიტეტო კლინიკის ონკოჰემატოლოგიური მიმართულების პროფესორებიც. უცხოელმა სტუმრებმა ქართველ კოლეგებს საკუთარი გამცდილება გაუზიარეს და დარგის განვითარებისათვის კონკრეტული რეკომენდაციებიც მისცეს.

დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ სტუმრად იმყოფებიან პიცბურგის სამეცნიერო უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები და მათი ამოცანაა ონკოლოგიური სერვისების შეფასება და სამოქმედო გეგმის სტრატეგიის გაწერა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** პროექტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ: *„ესენი არიან ბავშვები, რომელთაც სჭირდებათ ხანგრძლივი მკურნალობა. შესაბამისად, ჩვენ ვეცდებით, რომ ისინი მკურნალობის დასრულებისათვის არ იყვნენ ჩამორჩენილები სასწავლო პროგრამას და სრულფასოვნად დაბრუნდნენ სკოლებში“.*

მოზარდებს, რომელთაც თვეობით უწევთ სკოლის გაცდენა, საგანმანათლებლო სერვისი ჰოსპიტალთან ახლომდებარე 147-ე საჯარო სკოლიდან მიეწოდებათ. 147-ე საჯარო სკოლიდან კლინიკაში ივლიან პედაგოგები, რომლებიც ბავშვებს შესაბამის გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

სასწავლო ოთახი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაბამისი ინვენტარით, ტექნიკით, სხვადასხვა თვალსაჩინოებებით და საკითხავი კლასგარეშე ლიტერატურით აღიჭურვა. ამჟამად, ჰოსპიტალში მკურნალობა 27 ბავშვს უტარდება, აქედან 14 სკოლის ასაკისაა (ბავშვების რაოდენობა იცვლება).

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოხდა ბავშვების შეფასება და მათი ინტერესების გამოკვეთა. ჯგუფის წევრები ჰოსპიტალში შეხვდნენ 147-ე საჯარო სკოლის პედაგოგებს, მშობლებს და მათ შესაბამისი კონსულტაცია გაუწიეს. სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისა და სრულფასოვანი მომსახურების მიზნით, მშობლის, პედაგოგებისა და მულტიდისციპლინური გუნდის თანამშრომლობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიქმნება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე ყველა დამატებით აქტივობას.

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას დახმარებას გაუწევს ფსიქოსოციალური სამსახური, რომელსაც სოროსის ფონდი აფინანსებს, ასევე, უცხო ენების შემსწავლელმა (ონლაინ) კომპანიამ მოსწავლეებს ინგლისური ენის უფასო პაკეტი გადასცა.

ერთობლივი პროექტის მიზანია, მკურნალობის დამთავრების შემდეგ, ამ ბავშვების მაქსიმალურად კომფორტული და სწრაფი ინტეგრაცია სოციუმში, რათა საზოგადოებას სრულყოფილ მოქალაქეებად დაუბრუნდნენ.

იურისტის კონსულტაცია

შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შემდეგ, როგორ წესრიგდება უვადო შრომითი ხელშეკრულებების საკითხი? რა შემთხვევაში ჩაითვლება ხელშეკრულება უვადოდ დადებულად?

შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევროობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.

გააჩნია თუ არა ვალდებულება დამსაქმებელს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე?

დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ამის შემდეგ, დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

აუცილებელია, თუ არა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი?

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

გრიგოლ ბაკურაძე
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სადისკუსიო კლუბი

გინწვევთ სადისკუსიოდ!

ჩემი სტატია ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვებით მინდა დავიწყო: *„შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის გაწევა. შვილს უნდა გარკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიაჩნდა კეთილად და რა კეთილი – ავად... უმაგისოდ თვითონ შვილი უხორთუმო სპილოს ემგვანება“.*

რაში დამჭირდა ამ სიტყვების გახსენება? იმაში, რომ ქართულის ყველა მასწავლებელს ვკითხო: სწორი ვართ კი, რომ ჩვენი უძველესი ენის, ანუ მისი გრამატიკის, შესწავლა თითქმის ამოვიღეთ პროგრამიდან? განა ამან რაიმე კარგი შედეგი მოგვიტანა? დავაკვირდეთ ჩვენს მეტყველებას. დღეს უკვე დამკვიდრდა ენაში ისეთი გამოთქმები, ადამიანს თმას ყალყზე რომ დაუყენებს. ასე მაგალითად, *„ყოფილი საქართველოს პარლამენტი“, „მე ამას ვიძახი“, „ბევრი ადამიანები“,* ხოლო სიტყვა *„ერთადერთი“* უკვე სატელევიზიო რეკლამებშიც ცალ-ცალკე იწერება. ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ სიტყვა *„მაგარი“* გახდა საუკეთესოსა და მშვენიერის, გამორჩეულისა და თვალწარმტაცის ერთადერთი შემცველი ეპითეტი, კარგად მივხვდებით, თუ როგორ დამდაბლდა ჩვენი ენა, რომელზედაც იოანე-ზოსიმე ამბობდა: *„ყოველი საიდუმლო ენასა ამას დამარხულ არს“.*

მაშ, მოვიხედოთ უკან და ვნახოთ, სად გაჩერდა ჩვენი მამა? ამ შემთხვევაში თვალები აკაკი შანიძისა და ლეო კვაჭაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებისაკენ გამირბის. ყველაფერი როგორ თემატურად, თანმიმდევრულად არის დალაგებული! გრამატიკა ხომ მათემატიკას ჰგავს. თუ წინა მასალა არ იცი, მომდევნოს გაგება გაგიჭირდება! ჩვენ ისინი საბოლოოდ დავინუნეთ და დღეს მხოლოდ ლიტერატურის წიგნში მოთავსებული გრამატიკული მასალით უნდა დავკმაყოფილდეთ, სადაც მოსწავლეები ან თვითონ უნდა მივიდნენ დასკვნამდე (რასაც მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ), ან არათანმიმდევრულად და მწირად მოცემული მასალით უნდა დაკმაყოფილდნენ.

შემდეგ მზერა თინათინ ბოლქვაძისა და ეთერ აფხაზავას მიერ შედგენილ „ქართულ ენაზე“ ჩერდება. არა მგონია, ვინმემ დაიწუნოს მათ მიერ თანამედროვე მოთხოვნებზე აგებული სახელმძღვანელოები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევენ შემოქმედებითად მიუდგნენ გრამატიკული საკითხების შესწავლას.

მაშ, რა ჭირი დაგვეტაკა, რომ მხოლოდ მასწავლებლის ენთუზიაზმზე დავტოვეთ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი (მერწმუნეთ, ერთგული პედაგოგები ახერხებენ, შეძლებისდაგვარად, გადაწყვიტონ ეს პრობლემა) და არაფრით არ გვინდა, რომ გრამატიკის გაკვეთილებისთვის ცალკე საათი გვქონდეს დათმობილი? რა არის ეს დამონება ევროპული სწავლების ყველა მიმართულებისადმი? არა მგონია, ქართული ენის, როგორც ცალკე საგნის, შემოღებას დიდი ხარჯები დასჭირდეს და თუნდაც დასჭირდეს, გარწმუნებთ, *„ლომი ღირს ბრდღვნად“.* გადავხედოთ ჩვენი მამების დანატოვარს. იქნებ გავარკვიოთ, *„რაში იყო ჩვენი მამა მართალი, რაში იყო შემცდარი“* (ცუდი უკუვაგდოთ-მეთქი, ამაზე ენა, რომც მომკლათ, არ მომიბრუნდება) და დავადგეთ კვლავ მათ მიერ გაკვალულ ბილიკს. ამ ბილიკის გაფართოება და ფართო შარაგზად ქცევაც ხომ სულაც ჩვენზე ჰკიდია!

ამ ორიოდე წლის წინ, როდესაც XII კლასის სახელმძღვანელოს ავტორთ შევბედე, თქვენ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს ვერც ერთი პედაგოგი ერთი წლის განმავლობაში ვერ შესწვდება-მეთქი, მოგეცათ ლხენა, დღე დამადგა! ღმერთმა გაახაროს ბატონი გია მურღულია, რომელმაც, რაღა თქმა უნდა და, ჩემზე გაცილებით საფუძვლიანად, ახსნა, რომ ეს გახლდათ, მართლაც რომ „კარგი საკითხავი წიგნი“.

იქნებ ახლაც შემეხმიანოთ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებო და ამიხსნათ, ჩემი აზრის გამო ჩასაქოლი გავხდები, თუ დროა, მივხედოთ ჩვენს მივიწყებულ გრამატიკას და ძველი ადგილი დავუმკვიდროთ?

ზემოთქმულს ისიც მინდა დავუმატო, რომ მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდებზე (მავანთა გასაგონად, ორივე საგანი ჩაბარებული მაქვს და „საბჭოთა ეპოქაში“ არ ჩავრჩენილვარ) გრამატიკის გაკვეთილი ცალკე საკითხად არის შეტანილი და კითხვა: თუ ვისთვისაა ეს საჭირო, რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მაშ, ვის ვატყუებთ, ბატონებო? საკუთარ თავს, მოსწავლეებს თუ მშობლებს?

ხომ არ გგონიათ, რომ უხორთუმო სპილოს დავემსგავსეთ?

გინწვევთ სადისკუსიოდ, ქართულის მასწავლებლებო!

პატივისცემით,
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **აზა ძაღარია**

კულტურული მემკვიდრეობა

ბატონიშვილისეული სამართლის უცნობი ხელნაწერი



„პირველადვე ესრე ვთქვათ მოსამართლე უნდა იყოს დიდად გამსინჯავი, მიმხვდომი, გამომძიებელი, გონება აუჩქარებული, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურისმგდებელი, გამსინჯავი, მომჩივრის მომხმარე, მომცდელი, სხვისი მკითხველი და ღვთისმოშიში“ – ასეთ ჰუმანურ მოსამართლეს ითხოვს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის აქამდე უცნობი ხელნაწერი ნუსხა, რომელიც თითქოს დღევანდელი დღიდან გვესაუბრება. აქამდე უცნობი ხელნაწერი პოეტმა **თემურ ჩალაბაშვილმა** და მღვდელმა **ზაქარია მაჩიტაძემ** საქართველოს ხელოვნების სასახლეს საჩუქარად გადასცეს. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ასზე მეტი ხელნაწერი არსებობს, ეს ნუსხა უნიკალურია და იქ წარმოდგენილი მოსამართლის მახასიათებლები დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ, 1705-1708 წლებში, შედგენილი კანონთა კრებული შესავალსა და შვიდ საკანონმდებლო ძეგლს – სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული, სამართალი სომხური, სამართალი კათალიკოსთა, სამართალი მეფის გიორგისა, სამართალი აღბუღასი, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა – შეიცავს. ვახტანგ VI-ის კანონები მალევე იქცა მთელ საქართველოში მოქმედ კანონთა წიგნად, უფრო მეტიც, ქართული სამართლებრივი და საერთოდ საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი წყარო გახდა.

ბატონიშვილის სამართლის წიგნს, გასულ თვეში, უცნობი ხელნაწერის სახით, კიდევ ერთი შეემატა, სავარაუდოდ, 1843 წელს მღვდელ პავლე ჭედიას მიერ გადაწერილი.

კრებული ტყავის შესაკრავებიან ყდაშია ჩასმული და 194 გვერდისაგან შედგება, შესრულებულია შავი მელნითა და სინგურით. წიგნის უნიკალურობას ისიც განსაზღვრავს, რომ მას 4 გვერდზე სამეგრელოს სამთავროს თავისებური ქრონიკა ერთვის. ქრონიკაში მოხსენიებულნი არიან სამეგრელოს მთავრები: ლევან და დავით დადიანები, ჭყონდიდის ეპისკოპოსი ანტონი და სამეგრელოს ეპარქიის მწყემსთავარი ზაქარია. აქვე მოიხსენიებიან გურიის მთავრის ასული ტერეზია და კაცია ჩიჩუა. წიგნი დადიანების ბიბლიოთეკის კუთვნილება უნდა იყოს, რასაც ცხადყოფს მინაწერებში ხშირად ნახსენები ზუგდიდის, გორდისა და აბასთუმნის სასახლეები. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სამართლის წიგნი, თურმე, ქართლის მეფემ შეიმუშავა, მაგრამ ის ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ საქართველოში და მას ყველა რეგიონში იყენებდნენ. ერთი პერიოდი რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის მეათე ტომშიც შეუტანიათ. პირველად 1705-1708 წლებში გამოიცა.

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს ის, თუ როგორი იყო მაშინდელი კანონი, ან სასჯელის უმაღლეს ზომად რა მიიჩნეოდა და რომელ კანონდარღვევებზე იყენებდნენ მას. ზოგადად ვახტანგ მეექვსის სამართალმა დიდი ნაწილი დაუთმო საოჯახო სამართალს, ეს კრებული პირველი თავია და მთლიანად საოჯახო სამართალს მოიცავს. ვინც ამ სამართლის წიგნში ჩაიხედავს, აუცილებლად გამოიტანს დასკვნას, რომ ძალიან ბევრი თვალსაზრისით ვახტანგ მეექვსის კანონი, დღევანდელ კანონთან შედარებით, ბევრად უფრო ლიბერალური და ჰუმანურია. სამართლის წიგნის მიხედვით ყველა კონკრეტული სამართალდარღვევა – ქურდობა, მკვლელობა და ა.შ. – შესაბამისი სასჯელით განისაზღვრება, იქნება ეს დაკისრებული გადასახადი თუ დატყვევება. სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე უმკაცრესი და, ამავე დროს, უცნაური ფორმაა იმ პირის დასჯა, რომელიც ეკლესიას გაძარცვავს ან ჯვარს დალეწავს. აქ განაჩენი მხოლოდ ხელმწიფეს ხელეწიფება და არა კანონს. როგორც აღვნიშნეთ, კრებული ძირითადად საოჯახო სამართალს ეხება და ამიტომაც, სამართლის ამ წიგნის მიხედვით, გაყრა ფაქტობრივად შეუძლებელი ყოფილა. ერთ-ერთ თავში წერია: *„თუ ცოლმან ქმარს სცემოს ან დასჭრას* (ასეთი ფაქტებიც შესაძლებელი ყოფილა) *დიდი გვემა და ტანჯვა უყოს, კათალიკოსმა, ცოლი და ქმარი რა გინდ მოძულე იყვნენ ერთმანეთისა, არასგ ზით გაყრა არ ქმნას. კათალიკოსმა წვრთნით ორივე შეარიგოს“.* იგივე სამართალი მამაკაცის მრუშობისადმი უფრო მეტად ლიბერალურია, ვიდრე ქალის, თუმცა პარიტეტი მაინც დაცულია და მამაკაცს პასუხისმგებლობა არ ეხსნება.

საინტრესოა, სად ინახებოდა ამდენი ხნის განმავლობაში ეს ხელნაწერი?

თეიმურაზ ჩალაბაშვილი: *„ყველა სიახლე მიყვარს, მით უფრო, როცა ეს სიახლე სიძველიდან მოდის. ჩემმა სულიერმა მამამ ზაქარია მაჩიტაძემ, ცოტა ხნის წინ, ეს წიგნი გადმომცა და მითხრა: თემურ, ვიცი, რომ შენ წიგნის კაცი ხარ და სადაც გული მიგატანინებს, ეს წიგნიც იქ მიიტანეო. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ვარ, სიძველეების „მჩხრეკავიც“ ვარ. როგორც კი ხელნაწერს დავხედე, მაშინვე მივხვდი, თუ რა ძვირფას ექსპონატთან მქონდა საქმე. რატომ უნდა მქონოდა ასეთი უნიკალური ექპონატი სახლში ჩაკეტილი და მხოლოდ მე მეცქირა მისთვის?! მაშინვე გადავწყვიტე საზოგადოების საკუთრებად მექცია და ხელოვნების სასახლეს, გიორგი კალანდიას გადავეცი საჩუქრად. რაც შეეხება იმას, თუ საიდან მოხვდა მამა ზაქარია მაჩიტაძის ხელში ეს ექსპონატი – მრევლის ერთ-ერთმა წევრმა, ზუგდიდელმა ქალბატონმა, აჩუქა, რომელიც, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. შესაბამისად, წიგნი მანამდე ზუგდიდში ინახებოდა.“*

პოეტისაგან ასეთი ძვირფასი საჩუქარი არც პირველია და არც უკანასკნელი, რადგან მისივე თქმით: *„ძუნწი არა ვარ, მაგრამ არც ძალიან გამეტებული. მიყვარს, როცა სახლში ასეთ სიძველეებს ვინახავ. მიუხედავად ამისა, მუზეუმის ან მისთვის უფრო შესაფერისი ადგილის საკუთრებად ვაქცევ, როდესაც ვიცი, რომ ესა თუ ის ნივთი, ექპონატი იქ უკეთესად იქნება. ერთხელ დოდო აბაშიძის შვილმა ძალიან დიდი სიყვარულით მაჩუქა სახელოვანი ქართველი არტისტის „აზიურები“. დიდი მოწიწებით და სიყვარულით ვინახავდი. ჩემთან მოსული სტუმრების უმეტესობა ლამის მის ჩაცმას ცდილობდა. ეს ჩემთვის დაუშვებელი იყო, მე მას ვუყურებდი, როგორც რელიქვიას. ხშირად შევდიოდი ოთახში, სადაც ვინახავდი, ვეფერებოდი და ძირებს ვუკოცნიდი იმ აზიურებს, რომლითაც დოდო აბაშიძემ „ყვარყვარე თუთაბერში“ განუმეორებლად იცეკვა. მივედი იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ნივთი სახლში არ უნდა დამედო და ისიც ხელოვნების მუზეუმს გადავეცი, ჩოხასთან ერთად.*

ჩემთვის საამაყოა, რომ ყველასთვის საყვარელმა ქართველმა – კიტა ბუაჩიძემ, ანდერძით, მისივე არქივი გადმომცა. ვერაფრით დავუშვებდი, რომ მხოლოდ ჩემი საკუთრება ყოფილიყო, ჩემთან „გამოკეტილი“ – უნიკალური არქივი მართლაც უნიკალური ქართველისა, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ადამიანების სიყვარულს შესწირა, უკანასკნელ ჰონორარს იღებდა ჯიბიდან და გაჭირვებულებს ურიგებდა. ასეთი ადამიანის არქივი ხალხს, ქვეყანას ეკუთვნის და სწორედ ამიტომაც მივუჩინე მას ბინა ხელოვნების სასახლეში. გამოგიტყდებით, კიდევ მაქვს „რაღაცეები“ სამომავლოდ განსაზღვრული, რადგან არ ვიცი, შემდგომი თაობა თავს საით უზამს მათ. ამიტომ, ვიდრე ცოცხალი ვარ, მინდა მათაც შესაფერისი და საიმედო ადგილი მივუჩინო“.

ლალი ჯელაძე







სწავლის თეორიების პრაქტიკული გამოყენება

განათლების სამინისტროს პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ შესახებ მეგობრისაგან შევიტყვე და პრეზენტაციაზე დასასწრებად მშობლიური, ილიას უნივერსიტეტისაკენ გავწიე. ინფორმაცია ამომწურავი იყო, თუმცა ფინალამდე მისასვლელი გზა არც ისე მოკლე. ზუსტად არ ვიცი, დღის რომელ მონაკვეთში მივიღე გადაწყვეტილება ჩავრთულიყავი მარათონში, მაგრამ იმ დღესვე დავიწყე საბუთების შეგროვება, რომელთა სიაც საკმაოდ გრძელი იყო. დაახლოებით ერთი კვირა დამჭირდა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტისათვის თავის მოსაყრელად, ამას შემდეგ წერითი და ზეპირი გამოცდები მოჰყვა, ბოლო აკორდი ერთკვირიანი ტრენინგები იყო და მეორე დღესვე დაიწყო დასასრულის დასაწყისი... წელიწადნახევრიანი ცხოვრება სრულიად უცხო მხარეში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში და სოფელ ალასტანში სომხურენოვან საჯარო სკოლაში პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით ბავშვებისათვის ინგლისური უნდა მესწავლებინა.

ადგილზე ჩასულს ბევრი რამ მეუცხოვა, მაგრამ გამახსენდა გენიალური რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის სიტყვები: *„არ არსებობს ისეთი პირობები, რომელსაც ადამიანი არ შეეგუოს, მით უმეტეს, თუ ხედავს, რომ მის ირგვლივ მყოფნი ყველანი ასე ცხოვრობენ“*. ტოლსტოის სიტყვების სიმართლეში დღითი დღე ვრწმუნდებოდი...

პირველი დღეები მეტად რთული იყო. ვნერვიულობდი, რადგან მოთხოვნები დიდი იყო, ინფორმაცია უზარმაზარი, სკოლაში და მით უმეტეს არაქართულენოვან სკოლაში მუშაობის პრაქტიკა არ მქონდა. ერთმანეთში ირეოდა მოსმენილი თუ გაგონილი, ნანახი თუ გამოცდილი და არ მასვენებდა კითხვები: შევძლებ? რა იქნება? როგორ გავართმევ თავს დასახულ მიზანს? როგორ მოვახერხებ ყველაზე მთავარს – კომუნიკაციის დამყარებას ოჯახსა და საზოგადოებასთან?

სკოლის არსებობის მანძილზე არასოდეს ისწავლებოდა ინგლისური ენა (ისწავლებოდა გერმანული და რუსული ენები). პირველი კითხვა, რაც ბავშვების მხრიდან ისმოდა: სომხური იცით? სიტუაცია არ იყო მარტივი. ერთი საერთო ენის არარსებობის პირობებში (მე სომხური არ ვიცი, მათ – ქართული) უნდა მესწავლებინა ინგლისური. რთული, მაგრამ საინტერესო გამოწვევა იყო...

გაკვეთილზე კომუნიკაციის ძირითად საშუალებად სხეულის ენა (Body language), ინსტრუქციების მიცემის და ყველა შესაძლო შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ინგლისური (English in english) ავირჩიე. გარდა ამისა, თითოეული გაკვეთილის თემაზე შექმნილი პლაკატები, ნახატები და ვიზუალური მასალა ეფექტურს ხდიდა საგაკვეთილო პროცესს. მოკლედ გამოვკვეთე ჩემი მუშაობის მთავარი ინსტრუმენტები: ჟესტები (gestures), სხეულის ენა (body language), პლაკატები (posters), დასურათებული ლექსიკური ერთეულები (flash-cards), სასწავლო რესურსები.

მეორე მხრივ, ვცდილობდი, ყოველი საგაკვეთილო საათი მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტის გამოვლენის ასპარეზი ყოფილიყო. ასე მაგალითად:

– ლინგვისტურ/ენობრივი ინტელექტი – საუბრის, წერის უნარები, პრეზენტაციების მომზადება;

– მუსიკალური ინტელექტი – გაკვეთილის თემასთან კავშირში სხვადასხვა სიმღერების, დიალოგის, ლექსის შესრულება;

– ფიზიკურ-კინესთეტიკური – ბურთის და სხვადასხვა სასწავლო ნივთების გამოყენებით დავალებების შესრულება;

– სივრცული – ვიზუალური თვალსაჩინოების, სურათების, პლაკატების გამოყენებით მრავალფეროვანი აქტივობების შესრულება.

კოგნიტური განვითარების თეორიის ავტორი ჟან პიაჟე მიიჩნევდა, რომ სუბიექტი აქტიურად შეიმეცნებს გარემოს – ცვლის მას (ასიმილაცია) და საკუთარ გამოცდილებას (აკომოდაცია), ანუ სუბიექტი პასიურად კი არ ითვისებს ცოდნას, არამედ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში აგებს მას. სწორედ ამიტომ, მუდმივად ვაწვდიდი ახალ ინფორმაციას რეალობასთან კავშირში და გარკვეულ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მაგალითად, ახალი ლექსიკური ერთეულების მიწოდებისას, მიზანს წარმოადგენდა გარკვეულ კონტექსტში დამახსოვრება და დაკავშირება კონკრეტულ სიტუაციებსა თუ ყოველდღიურობასთან, რაც მათი მხრიდან თვალსაჩინოა, როცა ახერხებენ ნასწავლი სიტყვებით წინადადებების, დიალოგების, წერილებისა თუ მისალოცი ბარათების შექმნას. ვფიქრობ, მიდგომა ნათელია – არსებული ცოდნის გადატანა და მისადაგება რეალურ, ყოველდღიურ ყოფასთან და აქტიური ურთიერთქმედებით ახალი ცოდნის კონსტრუირება და გამოცდილებასთან დაკავშირება.

სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება. ამიტომ, ვცდილობდი, რთული და ადვილი დავალებები, მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობები ერთმანეთის მონაცვლეობით ყოფილიყო გაკვეთილზე. ძირითადად, წერა ბავშვებისათვის არც თუ ისე სახალისო დავალებაა, ამიტომ პრემარკის პრინციპზე დაყრდნობით (ნაკლებად სასურველ დავალებას უფრო სახალისო დავალება მოსდევს) წერის შემდეგ საყვარელ აქტივობას ან უფრო ადვილ დავალებას ვთავაზობდი.

განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ფაქტების სწავლებას, მთავარია, მოსწავლეებმა შეიძინონ ის უნარები და ცოდნა, რომლის გამოყენებასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლებენ. სწორედ ამიტომ ვიზიარებ ჯ. დიუის ხედვას – მისი განათლების ფილოსოფია ცოდნის პრაქტიკულობაზე იყო ორიენტირებული. მიმაჩნია, რომ ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ კეთებით, საკუთარი გამოცდილებით, როცა ისინი თვითონ ქმნიან რამეს და როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავენ განათლების მნიშვნელობას. ჩემი მოსწავლეების ამგვარი დამოკიდებულება დავინახე, როდესაც მათ უკვე თავიანთი სურვილით დაიწყეს დღესასწაულებზე მისალოცი ბარათებისა და კედლის გაზეთების შექმნა. მოსწავლეებს არსებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაჰქონდათ და თვითონ ქმნიდნენ ახალ პროდუქტს არსებული ცოდნის ფარგლებში.

დაბოლოს მინდა ვთქვა, რომ სკოლაში მუშაობის განმავლობაში ყოველდღიურად ვრწმუნდებოდი კ. როჯერსის „ჰუმანისტური თეორიის“ სიმართლეში: *„ადამიანები არსებითად კარგი და კეთილი არსებები არიან. მათ გააჩნიათ თვითაქტუალიზაციის ტენდენცია, ანუ თანდაყოლილი მიდრეკილება ზრდისკენ და თავიანთი უნიკალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისაკენ“*. მართალია, თვითაქტუალიზაცია ადამიანის თანდაყოლილი უნარია, მაგრამ როჯერსის მიხედვით, ის აღზრდის შედეგად ყალიბდება. ვფიქრობ, უდავოდ მნიშვნელოვანია უფროსების ბავშვებისადმი დამოკიდებულება, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს მათ თვითაღქმას, შეხედულებას საკუთარ თავზე და თვითაქტუალიზაციას. მოკლედ, მივადექი მთავარ სათქმელს – მიმაჩნია, რომ ნებისმიერ საქმიანობაში და მით უმეტეს სკოლაში ბავშვებთან წარმატებული სწავლებისა და ურთიერთობისათვის უმნიშვნელოვანესია *„უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება“*.

ქეთევან ჟორჟოლიანი
სოფელ ალასტანის სომხურენოვანი
სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი

ინფორმაცია

სოფელ ლამბალოში ახალი სკოლა აშენდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფროსმა **გიგა უმიკაშვილმა** საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს სკოლის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაობის მიმდინარეობა გააცნო. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მიწის გრუნტის შესწავლა, სადაც სკოლის მშენებლობა უნდა დაიწყოს. სრულდება სკოლის სრული პროექტის კორექტირება, სადაც გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ადგილმდებარეობის სპეციფიკა და ნიუანსები, რომლებიც მანამდე არსებულ პროექტში არ არსებობდა. გრაფიკის მიხედვით ტენდერის ჩატარების ვადები განსაზღვრულია მიმდინარე წლის 18 ოქტომბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით.

ახალი სკოლის მშენებლობა მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დაიწყება და წელიწადნახევარში დასრულდება. სოფელ ლამბალოში სკოლის ძველი შენობა 2006 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. მეშვიდე წელია ამ სოფლის 1000-ზე მეტი მოსწავლე ოჯახებში მოწყობილ საკლასო ოთახებში სწავლობს. სკოლა რამდენიმე ნაქირავებ შენობაშია განთავსებული. სასწავლო ობიექტები ერთმანეთისაგან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. მოსწავლეებს ურთულეს პირობებში უწევთ სწავლა, რაც მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც აისახება.

ახალი სკოლის შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება, გათბობის სისტემით, სპორტული და სააქტო დარბაზებით, ბიბლიოთეკითა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტებით.

ლამბალოს საჯარო სკოლა ერთ-ერთია იმ ცხრა სკოლას შორის, რომლის მშენებლობასაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიმდინარე წელს დაიწყებს.

საატესტატო გამოცდები

გეოგრაფია

1. რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში გაედინება მდ. ალაზანი?
ა. ქართლში
<u>ბ. კახეთში</u>
გ. რაჭაში
დ. გურიაში

2. რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება გვინეის ყურე?
ა. წყნარი
<u>ბ. ატლანტის</u>
გ. ინდოეთის
დ. ჩრდილოეთი ყინულობანი

3. რომელი კუნძული მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში?
ა. კუბა
<u>ბ. მადაგასკარი</u>
გ. სიცილია
დ. ისლანდია

4. რა ეწოდება მოსახლეობის გადაადგილებას საცხოვრებლად დროებით ან მუდმივად ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში?
ა. მოსახლეობის დინამიკა
ბ. მოსახლეობის აღწარმოება
<u>გ. მოსახლეობის მიგრაცია</u>
დ. მოსახლეობის დაბერება

5. სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით, ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფებიდან რომელია უფრო მრავალრიცხოვანი?
ა. 10-14
ბ. 45-49
<u>გ. 65-69</u>
დ. 85-89



6. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან (ადმინისტრაციული რაიონებიდან) სად არის უფრო მეტად თოვლის ზვავის წარმოქმნის საშიშროება?
<u>ა. მესტიის</u>
ბ. ზუგდიდის
გ. თერჯოლის
დ. ზესტაფონის

7. რომელი უღელტეხილია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე კითხვის ნიშნით?
ა. ქლუხორის
<u>ბ. რიკოთის</u>
გ. გუდამაყრის
დ. მამისონის



8. რომელი აღკვეთილი არ მდებარეობს კახეთის ტერიტორიაზე?
ა. ილტოს
<u>ბ. გარდაბნის</u>
გ. ჭაჭუნას
დ. ივრის

9. ცხრილის მიხედვით, რომელ წელს მიაღწია ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ პიკს?
ა. 1980 <u>გ. 2000</u>
ბ. 1987 დ. 2005

წელი	ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მლნ. ტ/კმ)
1970	31.7
1975	47.4
1980	72.9
1985	74.5
1987	79.7
1996	74.1
2000	50.1
2005	67.7

3

10. რომელი მტკიცებულებაა მართებული?
ა. საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვა მხოლოდ ქ. ფოთის მიდამოებში იყინება
ბ. შავ ზღვაზე ქარს ზამთარში ციმბირული ციკლონი განაპირობებს
<u>გ. საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვა მთელი წლის განმავლობაში არ იყინება</u>
დ. შავი ზღვა ყველაზე ღრმაა ქ. ბათუმის სანაპირო ზოლში

11. საქართველოს რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს ესაზღვრება ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკა?
ა. ფშავს და ხევსურეთს
<u>ბ. ხევსურეთს და თუშეთს</u>
გ. ხევს და ფშავს
დ. მთიულეთს და თუშეთს

12. რომელი დიაგრამა ასახავს კლიმატს, სადაც მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაშია ჰაერის ტემპერატურა დადებითი?
ა. A
ბ. B
<u>გ. C</u>
დ. D



13. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე სუფსის ნავთობის საბადო?
<u>ა. A</u>
ბ. B
გ. C
დ. D



14. რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?
ა. ქსანი
ბ. მტკვარი
გ. თერგი
<u>დ. სუფსა</u>

15. რომელ ფოტოზეა ასახული მეწყერი?
ა. ა გ. გ
ბ. ბ დ. დ

საატესტატო გამოცდები

16. რომელ ღონისძიებას არ მიმართავენ ღვარცოფის თავიდან ასაცილებლად?
ა. კალაპოტში ჯებირების აგებას
ბ. კალაპოტის ნაშალისგან გაწმენდას
<u>გ. ხეობის ფერდობებზე ტყის ჭრას</u>
დ. ხეობის ფერდობებზე ტერასების მოწყობას

17. რომელი მხარის ტერიტორიაზე არ მდებარეობს ეროვნული პარკი?
<u>ა. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში</u>
ბ. სამეგრელო-ზემო სვანეთში
გ. სამცხე-ჯავახეთში
დ. მცხეთა-მთიანეთში

18. რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?
ა. ქსანი
ბ. მტკვარი
გ. თერგი
<u>დ. სუფსა</u>

19. რომელ კონტინენტზე მდებარე გეოგრაფიულ ობიექტს შეესაბამება 23°30´ ს.გ. და 140°15´ ა.გ. გეოგრაფიული კოორდინატები?
ა. ანტარქტიდის
ბ. ჩრდილოეთი ამერიკის
გ. აფრიკის
<u>დ. ავსტრალიის</u>

20. ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა +2,1°C-ია, ხოლო ყველაზე თბილი თვის – +20,2°C. რას უდრის ამ ქალაქის ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა?
ა. 1.51°C
ბ. 1.85 °C
გ. 18.1°C
დ. 22.3 °C

ფიზიკა

ნიმუშებში შესულია როგორც მარტივი და საშუალო სირთულის, ისე რთული დავალებები

1. რომელი ერთეული შეესაბამება მ/წმ–ს?
ა) ^{3}ც.მ
ბ) მ/^{3}ც
გ) ^{3}ც.წმ
დ) წმ/^{3}ც

2. მოცემულია წრფივად მოძრავი სხეულის სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. t=0 მომენტიდან რა დროში გაივლის სხეული 40 მ-ს?
ა) 2 წმ
ბ) 2,5 წმ
გ) 3 წმ
დ) 4 წმ



3. ნახაზ a–ზე გამოსახულია გარკვეულ მომენტში სხეულის სიჩქარისა და აჩქარების ვექტორები. ნახაზ b–ზე გამოსახული ოთხი ისრიდან, რომელი გვიჩვენებს ამ მომენტში სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედის მიმართულებას?
ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4



4. ჰორიზონტალურ რელსებზე უხახუნოდ მიგორავს ურიკა. მას ადგილიდან შეახტა ბიჭი ურიკის მოძრაობის მიმართულების მართობულად. ურიკის სიჩქარე გაიზრდება, უცვლელი დარჩება თუ შემცირდება ამის შედეგად?
ა) შემცირდება
ბ) უცვლელი დარჩება
გ) გაიზრდება
დ) პასუხი დამოკიდებულია ურიკისა და ბიჭის მასების ფარდობაზე

5. ორი მოთხილამურე, S და T, ჯოხების დაუხმარებლად ჩამოსრიალდა გორაკის A წვეროდან მოყინულ გზაზე და სხვადასხვა გზით მიაღწიეს B სათხილამურო ბაზას. T მოთხილამურე მოძრაობისას უფრო დაბლა დაეშვა, ვიდრე S მოთხილამურე. (იხ. ნახ.). სათხილამურო ბაზასთან რომელი მოთხილამურის სიჩქარეა მეტი? ხახუნი უგულებელყავით.
ა) აქვთ ტოლი სიჩქარეები
ბ) მეტია T-ს სიჩქარე
გ) მეტია S-ის სიჩქარე
დ) პასუხი დამოკიდებულია მოთხილამურეთა მასებზე



6. ნახაზზე გამოსახული 1 კგ მასის ერთგვაროვანი ბერკეტი წონასწორობაშია. მარცხენა სხეულის მასაა 2 კგ. რისი ტოლია მოდებული F ძალა?
ა) 0,5 ნ გ) 5 ნ
ბ) 1ნ დ) 10 ნ



7. კუბი ჩაძირულია სითხეში. სითხის წონით გამოწვეული წნევა კუბის ზედა წახნაგზეა P, ქვედაზე კი 1,2 P. სითხის ზედაპირიდან რა სიღრმეზეა ჩაძირული კუბის ზედა წახნაგი, თუ კუბის წიბოს სიგრძეა L ?
ა) 3L
ბ) 5L
გ) 6L
დ) 8L



8. ერთნაირი ზომების ორი ძელაკი ტივტივებს ერთი და იგივე სითხეში ისე, როგორც ნაჩვენებია ნახატზე. h ძელაკების სიმაღლეა. განსაზღვრეთ ძელაკების ნივთიერებათა სიმკვრივეების ρ_1/ρ_2 შეფარდება.
ა) 1/2
ბ) 2/3
გ) 3/2
დ) 2



9. სხეულის რხევის ამპლიტუდაა 0,2 მ. რისი ტოლია სხეულის გადაადგილება რხევის პერიოდის განმავლობაში?
ა) 0
ბ) 0,2
გ) 0,4
დ) 0,8

10. გრძელი თოკის გასწვრივ ვრცელდება განივი ტალღა. ABCDEFG მრუდი წარმოადგენს თოკის ფორმას დროის ერთ–ერთ მომენტში. ტალღის სიგრძეს შეესაბამება შემდეგი სიგრძე
ა) AC მონაკვეთის სიგრძე
ბ) BF მონაკვეთის სიგრძე
გ) ABC რკალის სიგრძე
დ) ABCDE რკალის სიგრძე



11. რომელ ნახატზეა სწორად წარმოდგენილი ელექტრომეტრთან დამუხტული ღეროს მიახლოების (და არა შეხების) შედეგი?
ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4



12. ქვემოთმოყვანილიდან რომელი აღნიშვნა შეესაბამება რეოსტატს?
ა) 1 გ)3
ბ) 2 დ) 4

→ 8

საატესტატო გამოცდები



13. რომელი ნათურა (ნათურები) აინთება K_2 ჩამრთველის ჩართვისას (იხ. ნახ.)?

ა) არც ერთი არ აინთება
ბ) მხოლოდ I ნათურა
გ) მხოლოდ II ნათურა
დ) ორივე ნათურა



14. რისი ტოლია R წინაღობა ნახატზე გამოსახულ წრედში?



ა) 1 ომი
ბ) 2 ომი
გ) 4 ომი
დ) 6 ომი

15. რომელ ნახატზე გამოსახული სქემა გამოგვადგება გამტარის R წინაღობის გასაზომად?



ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

16. არაგამტარ სადგამებზე მოთავსებულია A და B ლითონის დაუმუხტავი ბურთულები ეხებიან ერთმანეთს (ნახ. (a)). A ბურთულას მიუახლოვეს შეხების გარეშე უარყოფითად დამუხტული ღერო (ნახ. (b)). შემდეგ, ღეროს გაუნძრევლად, B ბურთულა დააშორეს A ბურთულას, რის შემდეგაც ბურთულებს მოაშორეს დამუხტული ღერო (ნახ. c). როგორი მუხტები იქნება ბურთულებზე ამის შემდეგ?



ა) ორივეზე დადებითი ნიშნის
ბ) ორივეზე უარყოფითი ნიშნის
გ) A–ზე დადებითი, B–ზე უარყოფითი
დ) A–ზე უარყოფითი, B–ზე დადებითი

17. რა გზით გადაეცემა მზიდან დედამიწას სითბო?
ა) კონვექციით
ბ) მხოლოდ თბოგამტარობით
გ) მხოლოდ გამოსხივებით
დ) გამოსხივებით და თბოგამტარობით

18. დიაგრამაზე გამოსახულია ოთხი სხეულის C სითბოტევადობა და m მასა. რომელ სხეულებს აქვთ ტოლი კუთრი სითბოტევადობა?



ა) 1–სა და 3–ს ბ) 2–სა და 4–ს
გ) 1–სა და 2–ს, აგრეთვე 3–სა და 4–ს
დ) 1–სა და 4–ს, აგრეთვე 2–სა და 3–ს

19. რომელი იქნება ნახაზზე ნაჩვენები ისრების გამოსახულება სარკეში?



ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

20. დაალაგეთ ყვითელი, წითელი და იისფერი სინათლე მინაში მათი სიჩქარის ზრდის მიხედვით უმცირესიდან - უდიდესისაკენ.
ა) სამივეს სიჩქარე ერთნაირია
ბ) წითელი, ყვითელი, იისფერი
გ) იისფერი, წითელი, ყვითელი
დ) იისფერი, ყვითელი, წითელი2

პასუხები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა	X			X	X				X			X								
ბ			X				X			X				X				X		
გ								X			X					X	X		X	
დ		X				X							X		X					X

ტესტი იბეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

ბლუმის ტაქსონომია

უკვე ყველა ქართველმა პედაგოგმა იცის, ვინ იყო ბენჯამენ ბლუმი, იცნობს მის ტაქსონომიას, სააზროვნო დონეებს. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ მოსწონს ბლუმის ტაქსონომია და წარმატებითაც იყენებს გაკვეთილზე. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ეჭვით უყურებენ მისი გამოყენების ეფექტურობას სხვადასხვა დისციპლინებში.

გთავაზობთ ბლუმის ტაქსონომიის გამოყენების მარტივ მაგალითს.

გაკვეთილის თემა: ალექსანდრე პუშკინის ბიოგრაფია.

ცოდნა

მოსწავლეები იხსენებენ რაიმეს, რაც უკავშირდება გაკვეთილის თემას. ცოდნაში იგულისხმება ტერმინების, ფაქტების, კანონების, მოვლენების დამახსოვრება.

მაგალითად:

♦ ალ. პუშკინი დაიბადა 1799 წელს.

♦ მშობლები ბრწყინვალე საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ.

♦ მომავალი პოეტი გაზარდა ძიძამ, რომელიც ძალიან უყვარდა.

♦ 1811 წელს შევიდა ლიცეუმში.

♦ პუშკინის მეგობრები იყვნენ: პუშჩინი, დელვიგი, კიუხელბეკერი.

♦ ინტერნეტში პოეტის შესახებ არის ინფორმაციები.

♦ სკოლის ბიბლიოთეკაში არის პუშკინის ნაწარმოებები.

გაგება

გაგებაში იგულისხმება ახალი მასალის შესწავლა-გაგება-შემეცნება.

მოსწავლეები სცემენ კითხვებზე პასუხს, თავისი სიტყვებით გადმოსცემენ სათქმელს, ახარისხებენ და აჯგუფებენ მოცემულ ინფორმაციას, თარგმნიან, ხსნიან, განასხვავებენ, განსაზღვრავენ, გამოთქვამენ ვარაუდს რა მოხდება შემდეგ, მოჰყავთ მაგალითები.

მაგალითად, მოსწავლეები პასუხობენ კითხვებზე: რატომ გაზარდა პუშკინი ძიძამ? რატომ უყვარდა მას ასე ძალიან თავისი ძიძა? როგორ ესმით „ბრწყინვალე საზოგადოების წარმომადგენლები“?

გამოყენება

მიღებული ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში, მოდელის მიხედვით სხვადასხვა დავალებისა და სამუშაოს შესრულება. მოსწავლეებს შეუძლიათ დააჯგუფონ მახასიათებლების მიხედვით, იყენებენ ნასწავლ მეთოდებს, სვამენ კითხვებს.

მაგალითად, მოსწავლეები წერენ პროექტს „დიდი რუსი პოეტი“ და იყენებენ პუშკინის შესახებ არსებულ ცოდნას ან ეძებენ პოეტის შესახებ ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციას, მოიპოვებენ მას და იყენებენ პროექტში.

ანალიზი

მიღებული ცოდნის ნაწილებად დაშლა, ანუ მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლა, ნაწილების შედარება-მსგავსებისა და განსხვავების, მათ შორის კავშირის პოვნა, დაფარული აზრის გაგება, აზრის გამოთქმა იმაზე, თუ რატომ მოხდა ასე, რამ გამოიწვია ცვლილებები.

მაგალითად, მოსწავლეებს ვუსვამთ კითხვას: თქვენი ფიქრით, რატომ არ გაუმხილეს პუშკინს მეგობრებმა აჯანყების მზადების შესახებ?

მოსწავლეები აანალიზებენ ამ ფაქტს, გამოთქვამენ ვარაუდს, რა შეიძლება მოჰყოლოდა პოეტის აჯანყებაში მონაწილეობას (შეიძლება დაღუპულიყო და ქვეყანას აღარ ეყოლებოდა დიდი პოეტი).

ვთხოვთ, გამოყონ და შემდეგ დაასათაურონ ალ. პუშკინის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

სინთეზი

ელემენტებისა და ნაწილების გამთლიანება, ნაწილების შეერთება (მაგალითად, ტექსტის შესაქმნელად), ჰიპოთეზის წამოყენება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახვა, ახალი პროდუქტის შექმნა ან გამოგონება, კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა, სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის დაკავშირება, დიზაინის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, სცენარის ან მოთხრობის შექმნა.

მაგალითად, მოსწავლეები პუშკინის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ქმნიან მის ბიოგრაფიას, სლაიდ შოუს, ამზადებენ პოეტის ბიოგრაფიის პრეზენტაციას (ან რეფერატს), ასათაურებენ და უკეთებენ დიზაინს.

შეფასება

მოსწავლეები აფასებენ მასალას, მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა დასახული მიზნის მისაღწევად, აყალიბებენ შეფასების კრიტერიუმებს, ახდენენ საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულ შეფასებას.

დასკვნებს აკეთებენ გარკვეულ სტანდარტზე ან კრიტერიუმებზე დაყრდნობით, პოზიციისა და კონტრარგუმენტის საფუძველზე, პრეზენტაციის ღირებულებაზე, ამოწმებენ, ასაბუთებენ, გამოყოფენ პრიორიტეტებს, იცავენ თავიანთ პოზიციას, იძლევიან რეკომენდაციებს, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი.

მაგალითად, მოსწავლეები მაღალ შეფასებას აძლევენ ინტერნეტში მოპოვებულ მასალას პუშკინის შესახებ, რომელიც დაეხმარათ ბიოგრაფიის შექმნაში და ხსნიან არგუმენტებით, რა უპირატესობა ჰქონდა ამ ინფორმაციას წიგნებში მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარებით.

ქეთევან კუბლაშვილი
ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში

ინფორმაცია

კვლავ გვიხმობს სკოლის ზარი

16 სექტემბერს სკოლის ფორმებში ლამაზად გამოწყობილი გოგო-ბიჭები ამაყად მოაბიჯებდნენ მშობლიური სკოლისაკენ. თბილისის №219 საჯარო სკოლის ეზოში დილიდანვე ხალხმრავლობა იყო. ყველას საზეიმო განწყობა ჰქონდა. თანატოლები ამბორით ესალმებოდნენ ერთმანეთს და მასწავლებლებს. იგრძნობოდა, რომ თითოეულ მათგანს ძალიან მონატრებოდა სკოლა, მასწავლებლები, საკლასო ოთახი და ირგვლივ ყველაფერი.

ყველას უხაროდა სწავლის დაწყება. ამ სიხარულს დაემატა სიახლე, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტომ განახორციელა ახალი სასწავლო წლისთვის. თითოეულ მოსწავლეს უფასოდ გადაეცა სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები, რაც წინაპირობაა იმისა, რომ სასწავლო მასალით აღჭურვილები მონდომებით ისწავლიან და წარმატებებსაც მიაღწევენ.

ტრადიციულად, სკოლის დირექტორმა, ბატონმა **შალვა ხუციშვილმა** მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკოლის ეზოში შეკრებილ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს, გააცნო განათლების სისტემაში არსებული სიახლეები, სტუდენტობა მიულოცა ყოფილ კურსდამთავრებულებს და გასული სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეები – **გიორგი ბიძიშვილი, ანი ელიზბარაშვილი** (მე-5 კლასი), **ნინო გავაშელიშვილი** (მე-8 კლასი), **მარიამ მიქელაძე** (მე-11 კლასი) სიგელებით დააჯილდოვა. სიგელებით დაჯილდოვდნენ, ასევე, სპორტში მიღწეული წარმატებისათვის **ელისო გიანაშვილი, ნოდარ თანდელაშვილი, ანნა ბელაშვილი, გიორგი ჯაბიშვილი, გიორგი ცანდიშვილი, ბაჩუკი ზვიადაური**.

თვალხატულა პირველკლასელებს სკოლის გარემო ეუცხოვათ, მაგრამ ახალგაზრდა დამრიგებლის, **ციცინო ფიფაიშვილის** დედაშვილური მოპყრობით მალე გათამამდნენ და ლექსებითა და სიმღერებით გაალამაზეს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე. თითოეულ მათგანს საჩუქრად გადაეცა ბუკი.

მუსიკის მასწავლებელმა, **ქეთევან გოგოჭურმა** და მეცხრეკლასელმა გოგონებმა ფანდურის ჰანგებზე შეასრულეს სიმღერები საქართველოზე. დასასრულ მოსწავლეებმა სკოლის ჰიმნი იმღერეს და წარმოთქვეს ლოცვა სწავლის დაწყების წინ.

აწკრიალდა პირველი ზარი. მეთორმეტეკლასელებმა ხელი ჩასჭიდეს პირველკლასელებს და საკლასო ოთახამდე მიაცილეს. ყველა მოსწავლე ხალისით მიუჯდა სასკოლო მერხს.

მაია კუდუხოვი
დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

სკოლას გმირის სახელი მიენიჭა

მიმდინარე წელს ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა წყალტუბოს რაიონისა და ქალაქის ყველაზე დიდი საგანმანათლებლო დაწესებულების – №2 საჯარო სკოლის ცხოვრებაში. მას ამ სკოლის კურსდამთავრებულის, 2008 წლის აგვისტოს გმირის **მამუკა სამაკაშვილის** სახელი მიენიჭა.

„არ არის მკვდარი, სამშობლოს ვინაც შესწირა თავია“ – ქართველი მგოსნის ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება კაპრალ მამუკა სამაკაშვილს, ჩვენი ქვეყნისა და ამ წერილის გმირს, რომელსაც 29 ივნისს 27 წელი შეუსრულდებოდა. მისი დაბადების დღე, სამწუხაროდ, მის გარეშე მეხუთედ აღინიშნა, თუმცა ამ მწუხარებას ის ანელებს, რომ მამუკამ ღირსეულად განვლო თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება, რომელიც ნათელი მაგალითი უნდა გახდეს მომავალი თაობებისათვის.

დაიბადა 1986 წელს გაგრაში. 5 წლის იყო, როცა მშობლიური კუთხის დატოვება მოუხდა. მცირეწლოვნობის მიუხედავად კარგად ახსოვდა ცეცხლის ალში გახვეული ჩვენი ქვეყნის მარგალიტი – გაგრა, წამოსვლისას იხილა, თუ როგორ ააფეთქეს ჯალათებმა მისი სახლკარი.

1992 წლიდან მამუკა სამაკაშვილის ოჯახმა ბინა წყალტუბოს სანატორიუმ „საქართველოში“ დაიდო. ნიჭიერმა ჭაბუკმა 2004 წელს დაამთავრა წყალტუბოს №2 საჯარო სკოლა. სამხედრო სავალდებულო სამსახურში ყოფნა 7 თვეს მოუწია. ისე მოეწონა სამხედრო ფორმა და ჯარისკაცური ცხოვრება, რომ ოთხწლიან ხელშეკრულებას (კონტრაქტს) მოაწერა ხელი და ვაზიანის პირველ ბრიგადაში დაიწყო სამსახური. ორი წლის შემდეგ გადავიდა სენაკის მეორე ბრიგადაში.

ახალგაზრდა ყმაწვილისათვის საბედისწერო შეიქნა 2008 წლის 9 აგვისტო, როდესაც მას საავადმყოფოში გადაჰყავდა დაჭრილი მეომრები (რეზერვისტები). ერთი ჯგუფის ტრანსპორტირება კი მოასწრო, მაგრამ მეორის გადაყვანის დროს რუსი ოკუპანტების თვითმფრინავიდან ჩამოგდებული კასეტური ბომბის ნამსხვრევებმა იმსხვერპლა. დღეს გმირის საფლავზე სიმბოლურად ფრიალებს ჩვენი ქვეყნის ხუთჯვრიანი დროშა, ხოლო სადაც გაიზარდა და დავაჟკაცდა, ყოფილი ხონის ქუჩა, მამუკა სამაკაშვილის სახელს ატარებს.

სიკვდილის შემდეგ მამუკა საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 აპრილის განკარგულებით დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“, შემდეგ კი – თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით – მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ და მიენიჭა კაპრალის წოდება. მამუკას ნივთები დაცულია წყალტუბოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბევრი ოცნება და სურვილი ჰქონდა. ერთ-ერთი სურვილი სკოლაში სწავლის დროს გამოუხატავს კლასის ხელმძღვანელის **ნინელი კუხალაშვილის** მიერ დახატულ ნატვრის ხეზე, სადაც მიუმაგრებია ფურცელი, წარწერით: „მინდა ვემსახურო საქართველოს, რათა ის იყოს ლამაზი და ქვეყანაში სუფევდეს მშვიდობა“.

ეს გაყვითლებული ფურცელი ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რელიქვიაა. ვინ იცის, ჯერ კიდევ უწვერულვაშო ჭაბუკი როგორ ოცნებობდა გაგრის „ოლეკვარას“ პარკში გასეირნებაზე, ძველი გაგრის მშვენიერი სანაპიროს ხილვასა და მშობლიური კარ-მიდამოს აღდგენაზე.

მიუხედავად ასეთი ტრაგედიისა, მამუკას მშობლების – ბატონი ნუგზარისა და ქალბატონი მზიას, ერთადერთი დის უპირველესი სურვილია, რომ უკვალოდ არ ჩაიაროს მამუკას დაღვრილმა სისხლმა და საქართველო გამთლიანდეს, დაიბრუნოს მისი ძირძველი კუთხეები – აფხაზეთი და სამაჩაბლო.

მამუკას ოჯახის წევრები მადლობას უძღვნიან საგანმანათლებლო დაწესებულების დირექციას, მის დირექტორს, ქალბატონ **რუსუდან ელბაქიძეს**, პედკოლექტივს, ყველას, ვინც მხარი დაუჭირა იდეას, რომ სკოლას გმირის სახელი მინიჭებოდა. სწორედ ამ სკოლის პედაგოგებმა ჩაუნერგეს მამუკას სამშობლოსა და მეგობრების სიყვარული, რასაც შესწირა კიდეც თავი სახელოვანმა ახალგაზრდამ.

ომარ ჭუმბურიძე
წყალტუბოს მამუკა სამაკაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი, გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ კორესპონდენტი

ინფორმაცია

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისათვის

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, 24 სექტემბერს, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა გრემი და ალავერდის სამონასტრო კომპლექსი მოინახულეს.

ღონისძიება აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლება, ტრენინგები და საგანამანთლებლო პროგრამების“ ფარგლებში განხორციელდა და აფხაზეთიდან დევნილი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 6-მდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ინტეგრირებული ჯგუფი მონაწილეობდა.

დღის განმავლობაში მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ გრემი და ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, რის შემდეგაც, სამინისტროს ახალგაზრდა ტრენერების დახმარებით, ისინი სხვადასხვა აქტივობებში ჩაერთვნენ, რაც მოზარდების გონებრივ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას ემსახურება.

პროექტის მიზანი იყო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მათი შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, ჯანმრთელობისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

დასრულდა გენო ზარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში

დასრულდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, თბილისში, 19-20 სექტემბერს, ჩატარებული აფხაზეთის მკვიდრის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, სსრკ-ის სპორტის ოსტატის გენო ზარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელსაც ა.წ.19 სექტემბერს 70 წელი შეუსრულდებოდა. შეჯიბრში მონაწილეობდნენ აფხაზეთის მკვიდრი ვეტერანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები: სოხუმი, სოხუმის რაიონი, გუდაუთა, გაგრა, ოჩამჩირე, გალი.

გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, ბურთებით, სპორტული ფორმებით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის დიპლომებით. დაწესებული იყო სპეციალური დიპლომები და პრიზები: საუკეთესო ბომბარდირი, საუკეთესო, მეკარე, საუკეთესო ფეხბურთელი.

შეჯიბრების შედეგები:
I ადგილი – სოხუმი
II ადგილი – გუდაუთა
III ადგილი – სოხუმის რაიონი
საუკეთესო ფეხბურთელი – **გიორგი გაგილაძე**
საუკეთესო ბომბარდირი – **სოსო მალანია**
საუკეთესო მეკარე – **მამუკა გოგია**

აფხაზეთის საჯარო სკოლებს 128 პირველკლასელი ჰყავს

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია** და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი **ალექსანდრე აპლაკოვი** ესტუმრნენ თბილისში განთავსებულ აფხაზეთის №2 და ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლებს. მათ მოსწავლეებსა და პედაგოგებს მიულოცეს ახალი სასწავლო წლის დაწყება და წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

წელს, აფხაზეთის 13 საჯარო სკოლის კარი შეაღო 128 პირველკლასელმა. მათ საჩუქრად გადაეცათ სასკოლო ბუკები, გაუმჯობესებული ტექნიკური მახასიათებლებითა და პროგრამებით და, ასევე, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლემ სახელმწიფოსგან მიიღო უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო კიდევ ერთხელ ულოცავს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველა მოსწავლესა და პედაგოგს და უსურვებს წარმატებულ სასწავლო წელს!

სპორტი

სტუდენტური ჩავარდნა

UNIVERSIADE KAZAN 2013 RUSSIA

ირაკლი თავაძე

ივლისის პირველ ნახევარში ქართველმა სტუდენტებმა რუსეთში, თათრეთის დედაქალაქ ყაზანში გამართულ მსოფლიოს 27-ე უნივერსიადაში იასპარეზეს. ჩვენები იქ სპორტის 11 სახეობაში გამოვიდნენ – ძიუდო, ქამრიანი ჭიდაობა, თავისუფალი და ბერძულ-რომაული ჭიდაობა, სამბო, ცურვა, ფარიკაობა, ჭადრაკი, წყალბურთი, შვიდკაცა რაგბი და ტყვიის სროლა. ქართული დელეგაციის საერთო რაოდენობა, ოფიციალური პირების ჩათვლით, 100-კაცზე მეტს აჭარბებდა, სპორტსმენი კი 70-მდე იყო. ასეთი წარმომადგენლობითი დელეგაციის მიუხედავად, უნივერსიადაზე მაინც ძალზე წარუმატებლად გამოვედით – მხოლოდ 3 მედალი მოვიპოვეთ, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ვიცე-ჩემპიონი სამბისტი **ნიკო კუცია** (82) გახდა, მესამე საპრიზო ადგილებს კი ბერძენ-რომაელები – **თორნიკე თურქიშვილი** (60) და **მიხეილ ქაჯაია** (96) დაეუფლნენ.

დაგვეთანხმებით, შედეგი არანაირად არაა დამაკმაყოფილებელი და მისაღები. თან ეს სამი მედალიც მხოლოდ ბოლოსწინა დღეს მოიპოვეს და კატასტროფულ მარცხს გადაურჩნენ, თორემ მანამ მთელი ორი კვირის განმავლობაში მედალს ახლოსაც ვერ მივუახლოვდით. ეს მაშინ, როცა ჯილდოები მოიპოვეს სენეგალის, კენიის, მადაგასკარის, კოტ-დივუარის რანგის ქვეყნებმა, ხოლო ვირჯინიის კუნძულების ნაკრები ჩვენთვის ასე მიუწვდომელ ოქროსაც კი დაეუფლა.

არადა, ვერც იმას ვიტყვით, რომ საქართველოს დელეგაცია სუსტი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. იგივე ქაჯაია და კუცია ეროვნული ნაკრების კანდიდატები არიან, ძიუდოისტთა ნაკრებში შედიოდნენ 20 და 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონი **პაატა მერებაშვილი** და საქართველოს ჩემპიონი უფროსებში, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი **ლევან მატიაშვილი**. საერთოდ, საჭიდაო სახეობებში ბლომად იყვნენ ეროვნული ნაკრების კანდიდატები... იქნებ მავანმა სუსტი გამოსვლა ტურნირის სიძლიერითაც ახსნას, თუმცა ამ მოსაზრებას ვერაფრით დავეთანხმებით – ჩვენ ნამდვილად გვყავდა ისეთი ხალხი, რომლებსაც მინიმალური წარმატების მოპოვება, უბრალოდ, ევალებოდათ.

ზოგადად, უნივერსიადა არც ისე პოპულარული ტურნირია – მას ძირითადად ისეთი სპორტსმენებისთვის შანსის მისაცემად იყენებენ, რომლებიც ეროვნულ გუნდებში ვერ ხვდებიან ან არ არიან პროფესიონალები, მხოლოდ სტუდენტები, მაგრამ, მოულოდნელად, ეს უნივერსიადა ძალიან ძლიერი გამოდგა. ამაში ლომის წილი მასპინძელმა რუსებმა შეასრულეს, რომლებმაც განსაკუთრებით მოინდომეს შეჯიბრების დონის ასაწევად – ხვავრიელი დაფინანსების გარდა, თავიანთ წამყვან სტუდენტ სპორტსმენებსაც უხმეს. ზაფხული ის დროა, როცა ლამის ყველა სახეობაში მსოფლიოს პირველობები კარსაა მომდგარი და ათლეტები სეზონის უმთავრესი შეჯიბრებისთვის ემზადებიან, მაგრამ რუსებმა ერთგვარი სინთეზის შექმნა მოახერხეს – უნივერსიადის პროგრამაში შეტანილი სახეობების ფედერაციებმა იმგვარად დაგეგმეს კალენდარი, რომ ეს ტურნირი სწორედ მსოფლიოსთვის მოსამზადებელი და ზოგ შემთხვევაში, შესარჩევიც კი ყოფილიყო. მაგალითად, ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სახელოვანმა მსოფლიოს ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში **იური შახმურადოვმა** რუსეთის პირველობის შემდეგ აქ გამოსცადა თავისი შეგირდები, მათ შორის კი უპირველესი ვარსკვლავი, ოლიმპიური ჩემპიონი და მარტში, თბილისში, ევროპის პირველობის მომგები **ნატალია ვორობიოვაც** (78) იყო, რუსი ბერძენ-რომაელების ქართველმა თავკაცმა **გოგი კოღუაშვილმა** კი ევროპის ორგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **რომან ვლასოვი** (74) და **ნიკიტა მელნიკოვი** (96) აჭიდავა, ვინც რამდენიმე დღის წინ – 22 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. რუსებს ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოშიც ჰყავდათ – **არსენ გალსტიანი (60)**, რომელსაც ლონდონის ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ ტრავმის გამო არ ეჭიდავა და სწორედ იქ შედგა მისი დაბრუნება. ჭიდაობის გარდა, მასპინძლებს სხვა სახეობებშიც ჰყავდათ ვარსკვლავები და მართლაც შეძლეს ამ ტურნირის პრესტიჟის ამაღლება. შთამბეჭდავი იყო მონაწილეთა რაოდენობაც – 10 500-მდე ათლეტი, უნივერსიადას კი 1500-მდე ჟურნალისტი აშუქებდა.

ასეთ წარმომადგენლობითსა და მასობრივ ღონისძიებაში მით უფრო გვმართებდა წარმატებით გამოსვლა, მაგრამ როგორც გითხარით, მთელი ორი კვირის განმავლობაში მედალთან ახლოსაც ვერ მივედით. მაგალითად, ძიუდოისტთა მთელმა ნაკრებმა ტურნირზე მხოლოდ ორად ორი შეხვედრა მოიგო. დაგვეთანხმებით, სირცხვილია ასეთი სუსტი ასპარეზობა, ამას იქნებ სჯობს, საერთოდ არც წავიდეთ მსგავს ღონისძიებებზე.

აშკარაა, რომ ქართულ უნივერსიტეტებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტის განვითარება, სტუდენტთა სპორტში ჩართულობა ვერ დგას სათანადო დონეზე. მართალია, ტარდება შიდა შეჯიბრებები, უნივერსიადა, მაგრამ რეალობა რაცაა, ზემოთ მოგახსენეთ. ჩატარებული სამუშაოები არაა საკმარისი და საჭიროა, უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული მუშაობა სხვა კუთხით, უფრო მაღალ დონეზე გაიშალოს, რათა ეროვნული ფედერაციების გვერდით, მათაც შეძლონ მაღალი დონის სპორტსმენთა მომზადება, რომლებიც შეძლებენ, ღირსეული კონკურენცია გაუწიონ ეროვნული ნაკრების წევრებს და მედლები მოიპოვონ უმთავრეს საერთაშორისო ტურნირებში, ანუ გადავიდეთ დასავლურ მოდელზე – იქ ხომ საუნივერსიტეტო სპორტი ძალიან დიდ შევსებას აძლევს მაღალი მიღწევების სპორტს.

უამისოდ წყალში გადაყრილი იქნება ის არცთუ ცოტა თანხა, რაც უმაღლეს სასწავლებლებში სპორტზე იხარჯება. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ ის მოდელიც ვერ შეგვიმუშავებია, რომ სტუდენტებს არც სწავლაში შეეშალოთ ხელი და არც სპორტს ჩამორჩნენ.

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ცხოველები
6. გარეული ფრინველები
7. პროფესიები
8. ხილ-ბოსტნეული
9. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
11. ჰიგიენის ნივთები
12. საოჯახო ნივთები
13. ტრანსპორტი
14. წყლის ბინადრები
15. ინგლისური ანბანი
16. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო დიდტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა გედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე

~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK